

1909 წლის მარტის  
საბოლოო ნოტი

№ 1



მთაშორისობა.— გრეჩენი.

1909



## ქინაარსი

I—ობოლი,—ღექით, ვაჟა-ფშაველაში.	3
II—რად მიუვარს ალაზანი,—ი. ევფრატელისა .	8
III—გაბლოს ქორწინება,—ცქანისა .	10
IV—ვარდის ბუჩქი,—ღექით შ. მდგიმელისა .	20
V—ფუტკარი და მისი ცხოვრება,—წერილი შემცირე, ა. წე- ლისა .	22
<u>VI—თეთრი. ყანჩა,—({ხდაპარი}), ნ. ტელეშვილისა, განდება- დისა .</u>	22
VII—სიკცილის ნიშანი,—({რესულით}), თეთ კანდელაკისა .	38
<u>VIII—კიაც მოსახმარისია, თუ კაცი გონიერია,—ს. ორბე- ლიძისა .</u>	50
<u>IX—მითოლოგია,—ტროალის ომი, — თავმარი აქეველთა ბანაკში, ა. შიქაბერიძისა .</u>	57
X - რებუსი და ალსნი .	64

# ବ୍ୟାକାରୀ ଶତାବ୍ଦୀ

၁၅၂၈၁၇၃၀၉၉၉ ၂၆၄၆၁၉၀

© 2010 by Scholastic Inc.

ମେଁ ୧୯୦୯ ମେଁ, 1909 ଫ.

三



სვეტი - ქარი ზღვაზე

## მინაარსი

I.—ობოლი,—ღექია, ვაჭა ცემადანი. . . . .	3
II.—რად მიყვარს ოლაზანი,—ა. ევდოშვილის . . . . .	8
III.—გაბლოს ქორწინება,—ცხვატის . . . . .	10
IV.—ვარდის ბუჩქი,—ღექია შ. შევამელის. . . . .	20
V.—ფუტკარი და მისი ცხოვრება,—წერილი შემციდე, ა. წუ- ლაძის . . . . .	22
VI.—თეთრი ყანჩა,—({ზღვაპარი}), ნ. ტელეშვილის, განდეგი- ლის . . . . .	22
VII.—სიკედილის ნიშანი,—({რუსულით}), თეთ კანდელაკის . . . . .	38
VIII.—კიაც მოსახმარისია, თუ კაცი გონიერია,—ს. თაბუ- ლაძის . . . . .	50
IX.—მითოლოგია,—ტროადის ომი, — თათბირი აქეველთა ბანაქში, ა. შიქაბერიძის . . . . .	57
X.—რებუსი და ალსნა. . . . .	64



## ମୃଦୁଳୀ



ଲାକ୍ଷ୍ମୀ ଦେଇବ ମୁହଁସ, ତର୍ପ ମିମି,  
ଲାକ୍ଷ୍ମୀ କଥି, ଲାକ୍ଷ୍ମୀ ନିଷେଧି;  
ଶୁଣ ଦାଖେଲିବ ତାଙ୍କି-କୁମି,  
କୁମିକ ନାଦିରିଗିତ ବିନ୍ଦିଲୁହି.  
  
ତାନ - ଫ୍ରେଶ - ଶିଶ୍ରେଷ୍ଟି ଦାସିବାର,  
ନାମିରାଜାଲୁହି, ବିଶ୍ଵିରା.  
ମୁଖତାଳି ରାମା ପ୍ରମତ୍ତିଲା  
ଶୁଣିଲିବ ପଦିରା!  
କଥିବ ଫିରିବିବିଦିଲା,  
କିନ୍ତୁ-କିନ୍ତୁକିନ୍ତୁ କ୍ଷେତ୍ରିଦିଲା;  
କିନ୍ତୁକିନ୍ତୁକିନ୍ତୁ କ୍ଷେତ୍ରିଦିଲା  
କିନ୍ତୁକିନ୍ତୁକିନ୍ତୁ କ୍ଷେତ୍ରିଦିଲା.  
କଥିବ କଥିବ କଥିବ  
କଥିବ କଥିବ କଥିବ



ମୋରୁପା: "ଦାମ, କେତୀରାଗ,  
ବିନ୍ଦିରେଇ କୁରିବି? ରାଦାମ?  
ମେହି କଥିଲା ଦାର, ଦେବିପ୍ରାପ,  
ତୁମିପା ବିଶ୍ଵବିଲୁହି ମୁହଁଦାମ;

ଅଲାରୋଦ୍ଧରିନ ମୁଖୀଁ ମନ୍ତ୍ରପୂର୍ଣ୍ଣ,  
ଗାନ୍ଧିଜୀଙ୍କା, ଲାମ୍ବୁଜାର୍ଦ୍ଦାମ.  
ମାଗରାମ ଏହି ପ୍ରସ୍ତରିକା, ଯନ୍ତ୍ରାଳିତନ୍ତ୍ର,  
ତୁଳିଲାଲ ରାଶି ପାର୍ବତୀ?  
ମନ୍ତ୍ରୀସ ଶ୍ଵରପ୍ରତି, ପ୍ରସ୍ତରାବ୍ଦୀ ପ୍ରସ୍ତରପ୍ରତି;  
ନୀଳ, ପ୍ରାୟାଶିକ୍ଷା, ପାର୍ବତୀଶିଥ;  
ଦୁଇଦୁଇଲାଲିକେ ଶ୍ରୀପ୍ରବନ୍ଦୀର ପ୍ରତିକାଳୀନ,  
ମନ୍ତ୍ରାମ୍ଭ ପ୍ରତିକାଳୀନ.  
ନେଇଲେବେଳେ ତୁଳିଲାଲ ରାଶି ପାର୍ବତୀ?  
ମନ୍ତ୍ରାମ୍ଭ ପ୍ରତିକାଳୀନ ପାର୍ବତୀ?  
ମନ୍ତ୍ରାମ୍ଭ, ତେବେଳାମ ପକ୍ଷିପାତା,  
ପାର୍ବତୀନାମ ମନ୍ତ୍ରାମ୍ଭ ପାର୍ବତୀ!

ନିମ୍ନ ପ୍ରକାଶରେ ଗାନ୍ଧିଜୀଙ୍କାର ପ୍ରତିକାଳୀନ  
ଜାଗିଦାନ ପ୍ରତିକାଳୀନ ପାର୍ବତୀ:



— “ରାମ ଶ୍ରୀପ୍ରବନ୍ଦୀ, ଫନ୍ଦିଲା,  
ଶାଶ୍ଵତ ରାତର ପାତାନାନ୍ତିକା?  
ଶାଶ୍ଵତ ଲୋକେ ମନ୍ତ୍ରପୂର୍ଣ୍ଣ ପାତାନାନ୍ତିକା,  
ମାତ୍ର ଶ୍ରୀପ୍ରବନ୍ଦୀ ପାତାନାନ୍ତିକା.  
ମନ୍ତ୍ରାମ୍ଭ ଦ୍ୱାରାକାରୀ, ପ୍ରତିକାଳୀନ,  
ରାଜୀ ସାନ୍ତ୍ରେଲାକୀ ହାମିଜୀଙ୍କା,  
ମାଗରାମ ଏହି ମନ୍ତ୍ରପୂର୍ଣ୍ଣକୀ, କୋମ ମନ୍ତ୍ରପୂର୍ଣ୍ଣ?  
ଦେଖିବାମ କିମ୍ବାକିମ୍ବା ବେଶିକା,  
ବେଶିକାକୁନ୍ତେବେଳେ ପ୍ରତିକାଳୀନ,  
ତାଙ୍କ ତୁଳିତୁଳିପାଦ ତେବେଳୀ:

— “ପ୍ରତିକାଳୀନ ଗାନ୍ଧିଜୀଙ୍କାର ପାତାନାନ୍ତିକା,  
ମନ୍ତ୍ରପୂର୍ଣ୍ଣ ପାତାନାନ୍ତିକା ତାଙ୍କିକା,

ଦାଲୋବିଳ ଦିନ୍ଦି, ପୁଅଳିଲ ଶିଥା,  
ମୁଖ୍ୟରେ ଦିନ୍ଦି ଦିନ୍ଦି ତାଙ୍ଗଲିଲିଲା.  
ମେହି ନିରାକାର ଦାର ତକ୍ଷଣିଲିଲା,  
ମହାବେଳି ଦାର ମୁହେଲିଲା!..  
ଯେବେଳେ ପ୍ରାଣୀ ମିନଦ୍ଵର୍ଗିଲା  
ଶୁଭ୍ରରେ ତାଙ୍ଗଲିଲ ତକ୍ଷଣିଲା!

ନାନୀ-ନାନୀ ଦାଲୋବିଳ,  
ନାନୀ-ନାନୀ ଶିଥିଲା...  
ଶେଷେକିତରେ ତାଙ୍ଗଲିଲ ତାଙ୍ଗଲିଲ  
ଯାତମାନ୍ୟକିଲା, କାନ୍ଦିଲିଲ ତାଙ୍ଗଲିଲ.  
ଶେଷି ଏହି ଦାଗାନ୍ତିରେ ତାଙ୍ଗଲିଲ, ଦିନିଲିଲ,  
ଦେଖିଲିଲା, ଶାତ୍ରା ପିଲିଲା...  
ଏହି ଶିଥିଲିଲା କିମତାନା,  
କାନ୍ଦିଲ ଶୁଦ୍ଧାମ ମାରିଲ ତାଙ୍ଗଲିଲା?  
ଶିଥିଲା ଶାତ୍ରାକିଲା ଶୁଦ୍ଧାମା, —  
କାନ୍ଦିଲ ମେ ପିଲିଲା ତାଙ୍ଗଲିଲା.  
ତାଙ୍ଗଲିଲ, ଏହା, ଶାତ୍ରାକିଲା  
ଦାଗାନ୍ତିର, ଶିଥିଲିଲା ତାଙ୍ଗଲିଲା!

ନିରାକାର ଦାର ତକ୍ଷଣିଲା,  
ମିନଦ୍ଵର୍ଗି ମିନଦ୍ଵର୍ଗି ତକ୍ଷଣିଲା.  
ଯାତମାନ୍ୟକିଲା, କାନ୍ଦିଲିଲ ତକ୍ଷଣିଲା  
ତାଙ୍ଗଲିଲ ତକ୍ଷଣିଲା.




“ମେହି ତକ୍ଷଣିଲ ଦିନ ଦାର, ମିନଦ୍ଵର୍ଗି,—  
ମିନଦ୍ଵର୍ଗି ମିନଦ୍ଵର୍ଗି ତକ୍ଷଣିଲା,—  
ମେହି ନିରାକାର ଦାର, ତକ୍ଷଣିଲ ମେହି  
ଏହାକିଲ ଦାମିନାକିଲା”.



მოფრინდა ბერი ქედანი  
 ობოლს დაჯდა მხარხედა,  
 ჩასწურჩულებდა კუტშია  
 რაღაცა ტრედის ხმაზედა.  
 ტოროლა თითქოს ჰლოცვედა  
 დასტრიმალებდა თავზედა;  
 კაჭკაჭიც გარსა უვლიდა,  
 თალხები ეცვა ტანზედა:  
 „უშველოთ რამე ობოლსა!“  
 კრიალებს, შველა სწადიან.  
 „უშველოთ!“ კველა იძახის,  
 რაც მწერნი იღი-დადიან,  
 თუ ფრინველები მინდერისა...  
 ვინ იკვის, რასა სჩადიან!

Օնչցցից ծառակա, ոճութեա,  
Ցըհային պայման ցըլագա.  
Ցտցլո ծանցքա եցլացես ՅՇլու  
Քօցրուլու զատա պայլագա.  
Տաշտապ Ցուլունդելու լու  
Ուրբինը ցանց ծառագա, —  
Ուրբին հիմ-ծովունոն,

ବେଳିମଶିଳ ଶ୍ରୀଲିଙ୍କ ମନେହିଲା,  
ଲାଲିଲ ବୋଗିଲ ମିଶନଟିକ୍ୟେଲା  
ତା ମିନ୍ତର୍ମନ୍ତ୍ରିକାଲ୍ପ ଶ୍ରୀପିଲା।



უცურეთ ყელ-ყურ ლიმაზსა,  
 უცურეთ რასა შერებისა!..  
 „დამაცათ, მე გაუწიო  
 მაგიერობა დედისა!“


სოქვა. ობოლს ტახტად მიუძღვნა  
 ბორჯლი ტოტები რქებისა  
 და გაიტაცა მთისაკენ  
 მოძრულებული ძმებისა.

ვაჟა-ფშაველა





## რად შიუგარს აღაზინი



ად შიუგარს აღაზინი, შრიალი ვერხვთა შორის მოდულუნე, ჩიყოლებული ქრისტის მხრივ აჭრელებულის ველით, მეორეს მხრივ კი ატეხილის ჭალით, საღდამაც მის წიალში ჩაიყურება ტოტებ და შვებული მტირალი ტირიფი, მკელევებ გაშლილი რცხილა და მუხა ამაჟი, წისული შორის, მაღლა ცისაქენ?

რად შიუგარს აღაზინი, რომელსაც თავს გადმოსცემის მწვერვალ გათეთრებული და კალთებ დაზურმუხტებული მთა გომბორისა, მთა კიდევსისა?

აღაზინი, რომელსაც დილით გრილი სიო ჩამოსდევს ხოლმე მთებიდან, წყნარი ნიავი ქიურჩეულება მის მობურგებურე ტალღებს, ციდან ისარივით და შვებული შერცხალი სცეს თავის თეთრს გულს. დილა-ალრიან ჭალიდან გამომხტარი კურდღელი ეთამაშება მის კიდეს და ყელმოლერებული ხოსტი იბანს ქოჩორს კეკლუკ პატარძალივით მის პაწია ტორში, რომელიც კარჩხლებში შეგნივრება ჭალის.

შხირულია დილით, შხიარულია სიღამოთი, ხოლო შუალისას-კი, თითქოს მოღლილი მგზავრიათ, გაჩუმებულია




ვერხვების ჩრდილში, გაუტვრენია სული და მიღის, უმარტველებელი ზნება ქვევით დინჯალ, აუჩქარებლად. ამ დროს ჭილიდან დაბლულუნებს ქედანი და სიცხისაგან შეწუხებული გვრიტი შესწივის შის უდიერობას.

დიალ, ასეთია ილაზინი და მიყვარს, მიყვარს გულითა და სულით, როგორც ძველი მეგობარი, რომელთანაც მირბენია, მითამაშნია!

და ეს მართლაც ასეა. ის ხომ იმ მთების შვილია, საღაც მეც დავიბადე; მან ხომ იმ მთებში აიდგა ფეხი, რომელთა კალთებზედაც თვით მეც გვიჩარდდ. ის ხომ შეა გასწოლია იმ ველსა და ჭალას, რომელთაც მე უშიარებდი ჩემს სიხარულს, რომელთაც მე შეეჩიოდი ჩემს დარდებს!

დიალ, მე და ის ერთის მშობლის შვილები ვართ — ერთის სამშობლოსი, მისის ძუძუთი გაზღოლები და ამიტომ მიყვარს ასე ჩემი ილაზინი!

#### III. ევდოშვილი





## გაბლოს ქორწინება



ანი, განი, განზედ, თქვენი ღმერთის პირიმე!  
განი მეოქი, თქვენ სიყმეს ვენცუალე, თქვენსა.  
მ...ო...ვ...დ...ი...ვ...ა...რთ, მოგვიხარის, იცოუ-  
ხლეთ მეფეანია და შაა... — გამკიოდა მახარობელი  
გიო და მეტი ქეითით ძალზედ ტორტმანებდა. მა-  
ხარობლობის ნიშნად ცალი მხარი წითელის  
ხელსახოცით ჰქონდა აკრული. ერთს ხელში ხის შამფურ-  
ზედ აგებული უმი ხორცი და მის წვერზედ წითელ გვერდა  
ვაშლი ეჭირა; მეორე ხელში კი ვეებერთელა საღვინე და  
მობარბაცებდა წინ სიხარულით და მღერა-კიცილით. ზოგჯერ  
სიმღერის შესწყვეტდა ხოლმე და, ვითომ სიტყვის წარმოსა-  
თქმელად მაყრებს მიუბრუნდებოდა, რომელნიც მეფე-დე-  
დოფლის ურეშს ხელ-გადახვეულნი მოუბრუნდნენ განუწყვე-  
ტლივის სიმღერით, რითაც მთელ ხოფელს სიხარულს და  
ბედნიერებას ამცნებდნენ, მიმართავდა იმ სიტყვებით: — იცით,  
ძმებო, ღმერთში აღლევრძელოს ის კაცი, რომელიცა რომა სეინ-  
დისიანი ადამიანი... — მაგრამ ენა და მუხლები იღია ემორ-  
ჩილებოდა, ხელად ჩიჩუმდებოდა და, დარცხვენილი, ტკბი-  
ლის ლიმილით ჩაეკითხებოდა: — რას იცინით, თქვენ მთვრალი  
ხომ არა გვონივართ? ნუ იფიქრებთ. „ქრისტე“ მადლმა ერ-  
თი „ტაქნი“ ტოლა არ დამილევდა. რა დიდი საქმეა... აი,  
ძმებო და შვილებო, რაღა ბევრი გაგიჭიანუროთ, იხლავე  
გეტუვით, რაც გიახელი: ი ქიტეს დერეფვანში ერთი ხელი-



დის მეტი კი არ გამოგვიცლია; ახლა ი ეკულესი მომზადები ვანში, სანამ მღვდელი ჯვარს დასწერდა, ერთი თუნგიც იქ გამოვაშრეთ. ის იყო და ისა, იმის მეტი ცვარიც არ მიმიკარებია. ახლა მოდი და ამ მოგონებაზედ ამის კაშნიკიცა ვნახოთ... იტუკდა ხოლმე ვიო და გზა და გზა რაკრაკს დამწყებინებდა საღვინეს.

აგრე ქორწილის ხალხი კიდეც მოუახლოედა მეტის სახლკარს, რომელსაც შინ შესავალი გზა პატარა მოწინულ ბაკიდგანა ჰქონდა. ბაკის კარებთან გიოს ობლები—სოფიკო და პატარა ვასო—აბუზულიყვნენ და ნამტირალევის თვალებით ყველას სათოთაოდ ათვალიერებდნენ, სოფიკო ცალის ხელით ვასოს გადაჭვეოდა, რომელიც უიმისოდაც ძალზე ეკვროდა გვერდში და იმის ჩიტქრეწილ კალთით თავს ითვარევდა. ეტუკბოდა, დიდი ხანი ეტირჩი, რაღგან გულ-ამოსკვნილ ტირილისვან დაღლილი ახლა მხოლოდ უგემურად ზმუნდა; თვალები კი ძალზე წითელი ჰქონდა და აქა-იქ ტრემლებისგან ჩამონარეცხი ლოკების ჰუკები სახეზე შევი ზოლებივით შეზრობოდა. მეორე ხელი სოფიკოს სახელში შეეკუნქა და, ჯიბის მაგიერ, გვერდზე ჩახეულ კაბის კალთის ქვეშ დაემალა.

— სუ, შე ხმა ჩახიწყვეტო, შენა! რა ჭირი გატირებს, რა გინდა, რა .. უა, შენი თავი ამორქამე, იო, იგრე, რომ ლხინშიც მოუსვერნარი ხარ და ჭირშიცა.—უჯავრდებოდა დერეტნიდან მამიდა კიკელა და ფიჩის ცოცხლი მოურწყველ კარ-მიდამოს საშინლად ამტვერებდა.

— ნუ უტევ, შენ გენაცვალე, მაგ საცოდავებსა, თორემ სულ გული მიკედება მავათი ცოდვითა. ქა, ქრისტიანო, საკვირველია, ლეთიშობლი მადლმა, მავათი ამბავი. ქილო, დიდებივით იმჩნევენ ეგ უბედურები ობლობასა. წელინ სულ გული ჩამეთუთქა, სოფიკომ რომ ჩუმად უთხრა,—„სუ, ვისოჯან, თორემ ეხლა უცხო დედინაცვალი გვეყოლება და გავიჯავრდებათ. ნეტავი ვიცოდე, მავათ რა იციან, დედინაცვალი რა არის. ლექრთო, ეგები შენი მადლით მართლა



ანჩხლი არ გამოდგეს, როგორც ი შექვაბიანთ ეფტეშესრულებული და მაგათა საკოდაობა არა ვნახო, ი ტიტილას ობლევისა ან რყვეს, და მეტე თუ გინდა მე მომკალ,—წაიღულუნა სალომებ და თავშელის წვერით თვალები და ცხვირი მოიწმინდა.

— იი, შენცა ქა, იციან კი არა და ის არ გინდა! ქა-  
ლო, ე აბალაცა ჯანდაბა ზღაპრებია, იქიდანა იქვთ ჩისშენილი,  
რომ დედინაც უვალი მუდამ ავი არისო, და ახლა მაგითაც იში-  
ტომ ეშინიანთ. გუშინაც ზედ დატანებაზე ი ძირ-მაგარანთ  
თეკლეს ეთქვა, ესენი რომ დაენახა, — „ვინ კი, შეილო, რა  
დედა დაპარეთ და ჩა დედინაც ლის ხელში გარდებოთ“. თურმე  
სოფიკოს გული განეთქოდა, დღეს კი, აღამიანო, პირჩე-  
ლიმი არ მოსულიათ, სულ ტირიან, და ტირიან. შეც გამიშვალდა  
გული. ეგენი დავიჩნეო, თუ ამოდენა საქმეს და ტუშჩებს გა-  
ვუძღვე. თუ ე საქმე საქმეზედ ვერ მოვიყვანე, ი ჩემი ხუშტუ-  
რიანი მშა კიდეც ამიკულებს... უი ჩემს თვალებს, ავერ კიდეც  
მოდიან და შე-კი სუფრა მზად არა მაქებს, — სთქვა გაფაციაც-  
ბით კეკულამ და ნაგივს კოცხი მიაფარა, თვითონ-კი სალომეს  
სუფრის გაშლაში ხელი შეაშველა.

ამ დროს ურემი კიდევ გაჩერდა ბავთან და, სანამ მეფე-  
დედოფალი ურმილენი ჩამოვიდოლნენ, მაყრებში ბავთან ხე-  
ლად ცანგოლა და გოგონა შემოსძახეს და მიხორობელი გოო  
სათამაშოდ შემფურით და სალვინით შივ წრეში მოიმუშედის.  
შეტოვდა რამდენჯერმე გოო თვალების ბლეტით, მაგრამ უც-  
ბარ, თითქოს რალაკა მოვინდაო, სალვინ ძირს დასდგა,  
შემფური სხვის გადასცა, ვაშლი გამოაძრო და ფიცხლავ სო-  
ფიკოსეკენ გაქანდა.

— აქ რას უდგენართ, შეიღო! რა შორი-ახლო შესცემა-  
რით? მამი თკვენის ქორწილია, უცხოსი ხომ არა. სოფო,  
შენ ხომ დიდი ხარ, შეიღო, წაიყვა ე ბავშვი და ი მამას  
შიძგვარე... დაიცა, გიტირნია? რადა, ბიჭო, ვინა გცემა.  
შეიღო? ერთი მითხარი შენა, ისე გავხადო, ვინც შენ ხელს  
გაბალებს, რომ სულ თავი და პირი დავამტერიო. სოჭვი შეთქი,



ბიქო, რადა ტირი! — ჩასცივბოდა გულმოღვინეფი ჭიშიარ ჭირა  
ხოტკულიან და დახვეთქილ ხელებს ილერსით ნიკაპზედ უფხა-  
კუნებდა, — ნათლი-დედ, რადა ტირიან ე ბავშვები? ადამიანო,  
რატომ უურს არ უგდებ? — გადასძახი აქლა კიქმლას, რომელიც  
შეფერს და ჰატარძალს კარებში მისალოცად დაუხვდა და მაგ-  
რა გადაძეკოცნა ძმა და რძალი.

— რა ვიცი ქა, მე მოუცლელად ვიყავი და რომ აღარა  
მქონდა ლრო მაგათი მოელისა?!

— რომელი ტირის, სოფო თუ ვასუაი? — იქითხა მეფებმ და  
ბავშვების მოსაყვინად ჰატარძალს თავი ანგბა.

— რადა ტირი, შეილო, ვინა გცემა? — ჰეკითხა გაბლობ  
ვასოს და ხელში იყვანა. სოფოსაც ხელი მოსკიდა, მაგრამ,  
შენ შესველა რომ დაპირი, უკანისკენელი ხელიდგან გაუსხლტა  
და განზე გავიარდა.

— ექ წამო, შეილო, წამო, ახალმა დედამ რა დიდი  
შექარი მოგიტანა; გამოიაჩე, თორებ სულ ვასოს ერგება და  
შენ ისე დამრჩები.

სოფო შექრის გაგონებაზედ შეჰყევა მამას, მაგრამ გულში-  
კი ძალზე ნანობდა იქ შესველის, რაღაცაც დედაკეცების იქეთ-  
იქიდგან წუწუნმა სულ თავბრუ დაასხა:

— უი ქა, როგორ უკეთობენ ი ჰატარძალსა, — ჩურ-  
ჩულებლენენ სიდო და მაგდანა და თან წარა-მარად ხან ბორცი,  
ხან ლავაშს დიდის ხვეწნით სთავაზობდნენ ერთმანეთს.

მეფებ ჯერ თვითონ დაისვა ვასო მუხლებზედ, მერე ჰა-  
ტარძლისათვის გასაცნობად უნდა კალთაში ჩეხევა, მაგრამ  
ვასომ იკიცლა და ფეხები ისე შეაკუნტრუშა, რომ გაბლობ  
წვენით სავსე ჯამი ყირამალა გადაუკოტრიალა.

— რა თავს იდებ, რა გალრიალებს, შე მამუნო შენა!  
მოდი წაიცვა, კიკელა, ის უმსგავსი ესა, თორებ იკელო აქა-  
ურობა! — გაჯავრდა ეხლა კი მეფე და ბავშვი უკან გადასვა.  
სოფო, ექ მოდი, შენა შეილო, მარტო შენ მოცცემს დედა  
შექარსა, ვასოს არ უნდა. — დაუყვევა მამამ სოფიკოს და



შუაში ჩისედა. — ეს არის, თ, მაშო, მაშინ რომ გვიწინდებით, უთითებო მეტე. ძან კეციანი და გონიერი ბავშვია, ზავრამ ეს კი დაბიგრა ი ღმერთმა. ი ჩემ საცოდვ თვკოსაც ძალიან უყვარდა, — ჩისჩურჩულ მეტემ პატარძალს და თან სოფოს შექრის დაპირებით ძალით ხელი გამოაყოფინა.

— უი, დედასა, — სოქვა პატარძალმა და შუბლი შეიკ-  
მუხნა.

აემლვრა გული სოფიკოს, ის იყო ტირილისათვის მოემზადა, ჩოდესაც ახლა სხვა ქალები და გოგოები შემოეხვივნენ და სათითაოდ სინჯვა დაუწყეს. ყველა თანაგრძნობას „უითი“ ჰქატადა და ბავშვს უფრო და უფრო გულს ციცხლით უცხებდნენ. ბოლოს ველარ მოითმინა, ფრცხლავ ხელიდან გამოუსხლა და ტირილით დიდედასთან ჩიტრბინა.

შისი ახლიდ დაქვრიცებული დიდედა ბუხარს მისჯო-  
მოდა და ერთი ბეწვა კადის ნატებს ცეცხლზედა ხუხვდა  
სოფიკს მისვლა ჯერ გაუკვირდა, მაგრამ ნატებირალეც თვა-  
ლები და ნიღვლიანი სისის გამომერტყველება რომ შეამჩნია,  
მიხედა, როგორც იყო საქმე, და, ისედაც ნიღვლიანს, მის დან-  
ახვაზედ უფრო ნალექლით იქვსო გული.

— უი, შენს ჩაქოლევილ დიდებას, ჩემთ თბოლო, შე  
საწყალო და ლეთის გლოხი! — წაიბუტბუტა ჩუმად და სიმწა-  
რით გულში ხელი ჩიკრა, შეგრამ, ნამტირალევ თბლისათვის  
რომ უფრო გული არ გაეტეხა, ცრემლები მოიწმინდა და  
ოლებრისიანის ხმითა ჰკითხა:

— რატომ ახალი კურტეა ან ჩიგიცვამს, შეიძლო, ან აქ რა გინდა, გენაცვალე, მამიშენის ქორწილში იყო? ნახე ახალი დედა?

— დიდედა, გენაცვალე, მე იქ არ წაფალ, არ მინდა მე  
ახალი დედა. ისევ ჩემი დედა სჯობდა, ეგ ვიღაც კრელ თვა-  
ლება მოიყვანა, განა დედა ჩემსი ჰგავს? თუ კი სხვა დედას  
მოიყვანდა, ჩევნ თვითონ უნდა მოგვერჩია, — მე და ვასოსა.  
ეგ რად გვინდა. აგრძ ვასოც, სინამ ახალ დედას დაინახვა,

განიმ ჩუმად იყო და მარტო იმისთვისა ტიროდა, რემ კუთხიში  
ზედ არ დაუსვეს; შეერე კი, როცა ახალ დედობის კუთხიშიცა



უნდა ჩაესვათ, ტირილით თაეგი მოიკლა და გარედ გამოვარდა. აქმდინ ბაჟთან იდგა მარტოკა და დედასა კითხულობდა. შეც არ მინდა ის ქალი დედად ვინდომ, მე ისევ ჩემი დედა მინდა, ეგ ვიღაც მოვრდა, მაშინვე თითები გამი. შინჯა და უიღაც ქალებსაც აჩვენა. ვითომ დამცინა განა, დამცინა, მაგრამ დედა ჩემი კი მაგას არ შვრებოდა თაეის დღეში. რომ არავის დაეწის ჩელი, ერთს სახელს მუდა გრძელს მიკერავდა. უგენი კი დამცინოდნენ და, რომ ეზიზლებოდათ, იღრიჯებოდნენ. მერე, დიდედა, ისე მეწყი-



ნა, რომ ველიარ მოყიდვისას და სინჯვის დროს ქუთხიშიც ვაკი  
წიე, რომ ეს ორი თითოც კინაღამ ხელში შეატანა. მაგრამ ეს  
როგორა მტკვეთა, — სოჭეა ქვითინით სოფიკომ და გაწიოსლე-  
ბული ხელი გამოიუშვირა.

— არა, შენ გენაციალოს შენი დიდედა. განა, შვილო, და ყურთოლნენ. ეცოდებოდი, შვილო, და იმისთვის გაუსინჯავთ. ამა, შვილო, რომ იძიხი, შეკრე დედა არ მინდაო, ის ჩაქოლევილი შეიღი ხომ ველაზ გაცოცხლდება და ახლა თქვენ მოფლი არ გინდათ? აი, ხომ ხელავ, ეგრე დაბლოგი-ლი დადიხიროთ შენა დაშენი ძმები. ან პურის გამოცხობა გინდათ, შვილო, ან დარეცხა, ან დაკერება. მაშ, ვინ უნდა გაგრიკოთ ყველა ეს? მე, ხელავ, ეხლა ბებერი ვარ. თველი არ მიჭრის და ხელი; მაშ, ვინ უნდა მოგიაროთ, თუ ახალ დედას არ მოიყვანდა. შენი ძმა ილიკო ხადლი არის, შვილო? დღეს მოელი დღე თველი არ დამიკრავს. თვეის დღეში იმას უნიხევი არ გაუშეიგიარ. დღეს როგორ მოუვიდა, რომ არც გავლილი მინახავს და არც გამოვლილი.

— დილას, დილედა, ქოლოთს წიგიდა მამიღას მოსაყვანად  
და ეს ორის ეხლა დაბრუნდა, მაგრამ ისეთი დაღონებული იყო,  
რომ ხმას არავისა სცემდა. მეტე, ვის რომ ნიხა ნამტორალევი,  
ვენახში შეიყვანა გასაჩითობად.

— უი, შენ მოგიკვდეს, შვილო, დილება, აბა, შენ კი  
არ გიყვარდა ის უბედური, ჩიგრამ იმ უსამართლოშ ცველას  
დაგვჭრა კულები. ვაი წერს მოსწრებას! მოსოფელიდა დილება  
და თან მღულარებას აპიკებდა.

დილხანს იყვნენ ამ მდგომარებაში ჩუმილ და წყნარიად.

— დიდება, პური მწიან, — დაარღვია სიჩუმშე სოფიკომ და  
ზეზე წამოიწია.

— Յշրու ց՛՛ման, Մըոլու՞ օցը՞, ցենալցալց, ո յութոծան-  
՛՛ Յշրու մցվէ, տարութեալու ՛՛լըան յրտո տայո եսեց Մըցոնա-  
ծց; ՛՛ Եմիտեմի, ցենալցալց, մոռուանց, ո եսեց Մըցոնաց, Յշր-  
սալց ցաջոնեսաց ձա Մըցկըլու, տայս Մըմոցցալց.



— სოფიკომ მოარბეინა ხახვი და პური და ხელუადა ჟაჭულა ქარება და გისოც გვერდზე კუდა-მოვებული ჰალა-უშემუერა  
კურ სინაზით და მიღლივრად შეტკრუტუნებდა, თან ცხელ  
ლუკმას ჯერ შიშის გამო ვერ დაპარებოდა. ბოლოს თამა-  
შად პირი დაავლო და ის იყო ხრამი-ხრამი აუტება, რო-  
დესაც კიდობანთან თვალი შეისწრო წრაუჩნას და ფიცხლოვ  
ეცა საბრალო მსხვერპლს. დადედი კი იმ დროს მწარე ფიქ-  
რებისაგან დაღლილი სიძლედ თვალებს ბლეტავდა და წა-  
რა-ზრა თავს ქარისგან შეჩერულ ისკილისაებ ანძრეცდა. შე-  
მდეგ ძილი ისე მოერია, რომ ბუხრის პირად ბოძს თავი მიაყ-  
რდნო და უკბილო ტუჩები ლობითს ქოთანივით ააჩუქრისა.

სოფომაც გათავა თავისი სიძარი და ახლა ფისოს ჩუ-  
მად უალერსებდა.

— ჩემთ ფისოჯან, შენც იბოლი ხარ განა? შენი ამ-  
ხანაგი და პატრიონი მირტო დიდედა არის, როგორც ეხლა  
ჩემი. დიდედა რომ არ იყვეს, სიმშილით მოკვდები, არა? შე  
საწყილო, მე ძმები და მამა მირნცა მყავს, მაგრამ შენ რომ  
არც ძმა და არც და არ გავიჩნია, ცოდო არა ხარ? ციცოს  
თითქოს ესიამოვნა მრის ალერსი, თვითონაც თვალებ ჩაუ-  
ტული მძიმე ხრაუტნით ძალზედ ზედ ეგლისებოდა და თა-  
ვიანი ტუჩებით ხელებსა და პირს ულოვევდა. სოფოუპბალწი-  
მოხტა ფეხზედ, დიდედა აათვალიერ-ჩაათვალიერდა და, რა დათ-  
წმუნდა. ლრმად სძინავსო, სწრაფულ კარებისკენ გაემართა.

შემოდგომის ხალით იდგა. ცა მოქუშულიყო და ისე  
იყო გარინდებული, თითქოს გამოუდარებლობით და მზის უნა-  
ხობით იმუქრებოდა. დასავლეთის ციცი ქროდა და  
ყოველ დაბერვაზე ხეს გაყვითლებულ სამოსელს ნელ-ნელა  
ჰქიდიდა. გრავატი გაშივლებული კლერტო მწუხარებით აქეთ-  
იქთ თავებს აქნევდნენ და თვის დამიმშევნებელ ძონძეულს  
სიკივის მოლოდნში ძირს ნაღლოიანად ჩამოსკერდნენ.  
არე-მარეს თავ-პირი ჩამოსტიროდა, მაგრამ ყველაზედ უფრო  
მწუხარებით სასაფლო გამოიცეირებოდა. მასხედ სიკოც-



ხლოს მომდევნი ყვავილები და მაღალი ბალაზი საცოდენებულშესაბა  
ტუსულიყო. რამდენიმე ნამყენი ხებილი და ბუჩქები-შემთხვევა  
გაშიშვლებულიყო და ფიჩის კონებივით იცქირებოდა; ილარი  
მხიარულ ჩიტების ერთამული ისმოდა. აქ ნამდვილ  
სიკედილი გამეფებულიყო. ძველ საფლავებში აქა-იქ იხლებიც  
მოსახანდა, რომლებმზედაც აკაკოლავებული მიწა ჯერ კიდევ არ  
ჟემშრალიყო. აგერ მარტბნივ ერთს ამგვარ საფლავს, რომელ-  
საც თრი პატარა წიფლის ხე ჰქონიავდა, პატარა სოფეკო მისჯ-  
ორმოდა და წყნარი ტრეტიკით ჩისირით საფლავსაც სიჩქნიდა.

— ჩემთ დედიკულ რამდენიხანია შენთან აღარ მოვსულებარ. მამას ბრალია, რამდენჯერ ვეხვეწე და ერთხელ აღარ წამომიყვანი. მაგრამ ჰე! უიმისოდ-კი ვერ წამოველ! რა ვქნა, აღარ უნდა იდგე? აკი მითხრეს, ვარდებიან სკივრში რომ ჩააწვენენ და დაიძინებს, უფრო ლამაზი იდგებაო. იდექი, თორემ იგერ მამამ სხვა დედა მოიყვანი, მაგრამ მე ის არ მინდა. იცი, ისეთი უკითხელი კაბა ეცვა, რომ... მაგრამ შენ უფრო პრი-ილა ქინძისთვის არა გაიქვს და იხალი ჩიქილა! შენ უფრო ჩემი კარგი დედა არა ხარ! იდექი ჩართა, დედა, თორემ ვერ გავძლებვ უშენოდ, ვიტირებ, ი, იდექი, მეშინიან!... გულ-იძოსკვნილი ტიროდა სოფიკო და საფლავს ისე ჩისკიეროდა, გეგონებოდათ მძინარე უნდა გამოარკვიოსთ.

ამ დროს ფეხის ხმა შემოესმა და, უკან რომ მიიჩედა, შეკრთა ილიკოს დანახვაზედ; ილიკო კი ისე განცციურდა, რომ მოლანდება ეგონა და თვალებზე ხელი მოისვა; მერმე რომ დარწმუნდა, მას წინ მართლა სოფო იყო, სწრაფლ მოეხვიდა და იღელვებულის ხმითა ჰქონდა: — გოგო, სოფო, აქ ჩა გინდა ამ დროს, შე სიწყვილოზ რამ მოგიყინა აქა, გრივ ფალე, ჰა?

— አዎስ ሰጭመሬንና ፈዴ ለማረመልና, የሚከተሉት ቀንድ የፈጸመ, እና  
መግኘና, ሁኔታውን ተመዝግበ ለማረመልና?

— ადე, გენაცვალე, ჯერ იღრეა შეგის იღვომა! ისე ჩემი  
მტერი ადგეს, როგორც ეს იღვება! იდე, გენაცვალე, შინ

წავიდეთ, გაიშეორა ილიკომ და სოფო საფლავს მოწირუსული თეითონ-კი ლიტრა ისევ ხელში აიღო, საფლავს დატრანსპორტირება გულის ოლაგას ჯვარედინათ წყალი დასხა.

— ამა, გაიქარვე შენი გულის ცეცხლი. თუმცა ჯერ ორი თვე არ არის შენი სიკვდილი, მაგრამ ნუ გეწყინება, შენს პატარაებს მოვლა უნდოდათ, თავ შემოგვლე! აბა, დახე, როგორ ჩა-მოგჩერებია შენი სოფო: შე უსამართლო, რად დაგვეტოვე თბ-ლად; ვის შეუძლიან შენობა გაგვიწიოს, დედა, ვისა! — წა-მოიქვითინა ილიკომ და წყალთან ერთად თერსი ცრემლე-ბით უფრო უხევად მორჩყო საფლავი.

სოფომ, რა დინანა თეისი ძმა შალლა ხშირ მტირალი, ახლო მივიდა, ყელზე ნაზად შემოეხეია: — ნუ სტირი, თო-რებ მეც მეტირებაო — ხვეწნით მიშართა და მისთან ერთად ისევ წამოქვეთინდა. რადა ტირი, აյი უნდა ისევ ადგეს! მაშ, რალადა ტირი, — გულა-აჩქროლებით წარმოსოქვა, და თეითონაც უარე-სად ატირდა.

— ილიკომ თავს დასძლია, ცრემლები საჩქაროდ მოიწ-მინდა, სოფო გულში ჩაიკრა და აჩქარებული ნაბიჯით სა-ფლავი ისევ მიატოვა.

ცეციონი





## გარდის ბუჩქი



არდი დაჭირვა დედაშა,  
ტურფა ყვავრლი გულისა,  
სიამაყვა და გვირგვინი  
კოწია გაზაფხულისა.

მწირე ნალველში დამხრჩეალსა-  
ლვიძლი ეწოდა, სტკილდა,  
გულ-მკედარსა, ძუძუ დამწვარსა  
ცხირე ცრემლები სღიოდა.

ქორფა ყვავილის დაჟირვის  
არე-მარეცა ჩიოდა,  
დედის კვნესასთან მათ კვნესაც  
შორს ველში გადადიოდა.

„ნეტამც არ გამავებინა,  
„თუ საღმე დედა სტკირისო,  
„მეუფევ, უველის აშორე  
„სიკედილ-სიმწარე შვილისო!“


ასე შოსთქვამდა შშობელი,  
ბუჩქი წითელის ვარდისა,  
ცრემლების გუბელ ქცეული,  
ზოვა ბოლმებისა, ლარდისა.

ର୍ଯ୍ୟାଙ୍ଗ-କି ବେଳମୁସ ବ୍ୟାଗିଲି  
ଶିତକୋଟ-ସିପୁଗିଲିତ କ୍ୟାଲେବୋଲା,  
ତାଙ୍କୁ ଶୁଣାଥାତିନ୍ଦ୍ର କ୍ଷିଣ୍ୟାଲା,  
ଶୁଣି ଅରାଜ୍ୟେରି ଶ୍ଵାଲେବୋଲା.

ଫରଲି ଏହି କ୍ଷିଣିନ୍ଦା ମମିସି,  
ତାହା ବ୍ୟାଲମ୍ବି ବେଳଲି କ୍ଷିଜନିନ୍ଦେବୋଲା,  
ଏହି କ୍ୟାଲା ଶୁଣି କାଳୀପାଇଲା  
ଏହି ଶୁଣି ମୁଖ୍ୟମିତ୍ର ବ୍ୟାଲେବୋଲା.

ଶ. ମନ୍ଦ୍ରମିଶ୍ର





# ფუტკარი და მისი ცხოვრება

რომილი მიშვიდა

(ტრადიციული ბერძნული გაფი ვართლა-მისი-ძეს პიკტორის),

(ცემდეგი \*)

შე სულ სხვა კარ, სულ სხვა ჭავა-  
და სხვა გარეულ მოღვაწეები;  
ტერის მუშას შე ძაბუას,  
ან კარ მარცო სამიწარ. იყავი.

ფუტკარის ნაშროვი



ეშო მეგობრებო!... როგორც წინად გიამბეთ,  
ფუტკარები იკეთებენ ფიქის (ანუ სანთელს),  
თაფლს და დინდგილს. ეხლა მსურს, თუ  
თქვენც ცოტა ხნით ყურს დამიღდებთ, მოგი-  
ცვეთ თითოეულ ზემოდ ჩამოთვლილს რისაგან და როგორ  
იკეთებენ.

სანთელი

ფიქი, რაშიაც დედა კვერცხს ცდებს და რაშიაც ფუტკ-  
არები თაფლს ინახავენ, კეთდება სანთელისაგან. წინად, როცა  
ჯერ კიდევ ფუტკარის ცხოვრება მეცნიერულიად არ იყო შე-  
სწავლული, ეკონიათ თუ სანთელს ფუტკარები მცენარებისა-  
გან იგროვებდნენ, მაგრამ უტყუარმა გამოკლევებ მრავალ  
წლის მეცნიერულმა დაკვირვებამ დამტკიცა რომ ეს აზრი  
ყალბია. სანთელი კეთდება თაფლისაგან და ის როგორ:

\* ) ითილ „ნაციონალი“ № 9.



ნამდე ფუტკრები შეუდგებოდნენ ფიჭის შენებას ისინი ლონივრად მიძღვნიან თაფლს, ისე მაგრად გაძლებიან, რომ მათი პაწია მუცელი შესამჩნევად გაიზრდება, გაიძერება. რამდენიმე სათის შემდეგ ფუტკრის ტანისაგან სანთელი იწყებს გამოყოფას ძრიელ პატარ-პატარა, თხელ-თხელ ნაწილებად. ეს პატარა ნაწილები სავსებით ჰგავს აღამიანის თავის ქერტლს.—ფუტკრებს აქვს ტანზე რამდენიმე ზოლები სარტყელივით. ამ ეს სანთლის ქერტლი იყრის თავს ამ ზოლებში. ქერტლი ქერტლს მისდევს. ამ რიგად, ერთი გაძლობის შემდეგ ფუტკრის შეუძლია რამდენიმე ასეთი სანთლის გვინდევი ქერტლი გამოუშვას. ფიჭის მშენებელი მუშა ფუტკრები ამ ქერტლს ხელად შეაგროვებენ, ერთიერთმანეთზე ოსტატურად დაიკაწიწებენ და ამ რიგად აშენებენ ფიჭას. რამდენ მეტს შესკომის ფუტკრი თაფლს, იმდენად მეტს სანთელს მოამზადებს. გამოყდილი მეფუტკრები ამბობენ, რომ ფუტკრებმა უნდა შესკომონ რეიდან ამ გირვანქმდე თაფლი და მხოლოდ ამის შემდეგ შეეძლებათ მოამზადონ ერთი გირვანქა სანთელი (ანუ ფიჭა). რამდენად კარგის ლირსებისა არის თაფლი, იმდენად ფიჭაც (ანუ სანთელი) კარგია.

ასე ამ რიგად წარმოვიდგინოთ, რომ ფუტკრები უკვე შეუდგნენ ფიჭის შენებას. პირველად, რასაკვირველია, ისინი ლონივრად მიძღვნენ თაფლს, ესე იგი დაიმზადეს საწარმოვო მასალა. პირველ ყოვლისა ისინი დაიწყებენ პაწიწა საკვერცხების შენებას, რამდენიმე საკვერცხე კი ერთად წარმოადგენს ფიჭას. ფიჭის შენების საუკეთესო დრო ლაშეა, რაღაც დღისით ჩევნს მოუსვენიან შშრომლებს ისედაც ბევრი საქმე აქვთ, შეტადრე ისეთი, რომელიც ლამით არ გაკეთდება. მაგრამ თუ საკვერცხების აშენება ძლიერ საჩქაროა, მაშინ დღისითაც მუშაობენ. ფიჭის შენების იწყებენ სითბოში, რადგან სიცივეში სანთელი არ იღვენთბა, სითბოში კი როგორც გინდა ისე მოხმარ, ამ ფორმაც გინდა იმას მისცემ. ამისათვის სკაში მუშა ფუტკრები არჩევენ უფრო თბილ აღგილს და იქ იწყებენ შრობას.

ფიქის დაწყებას მჯობინებენ ზევიდან ქვერიში რამდენი  
იგი სკის კერში იწყებენ და იატაკისაკენ ჩამოყავთ. ზორე-  
ლად სკის კერში მომავალ ფიქის გაუკეთებენ სანთლის სა-  
ძირკველს, მისათვის ისინი თავიანთ ჩინჩახვებისაგან ამოი-  
ღებენ სანთლის კერტლს, ქერტლი გადააჭვთ პირით, იქ გა-  
დაღებენ და მის შემდეგ იქ დააკაწიწებენ, სადაც საჭიროა.  
როცა ამ რიგად საძირკველს გაამზადებენ, შემდეგ ზედ ამოჭყავთ  
სწორი ექვს კუთხიანი საკვერცხები. არ იუიქროთ, ამას აკე-  
თებდეს ერთი ან ათობდე მუშა, არა, ასეთ საქმეს ახვე-  
ვიან ათასობით. ზოგი მათგანი საკვერცხებს აგანიერებს, ზოგს  
ზევიდან ქვევით მიჰყავს (აშენებს), ზოგიც შესაფერად ასწო-  
რებს. ასე ამ რიგად რამდენისამე საათის ბეჯითის შრომის შემ-  
დეგ, ფიქა უკავი რამდენიმე გოჯია და ზედ რამდენიმე ათასი  
საკვერცხება. ასე ამ რიგათ ერთი წყება (ჯვუფი) ერთ ფიქაზე  
მუშაობს, მცირე წყება მეორეზე. იმ ღრუს ისინი სარკებლი-  
ბენ არამც თუ იმ სანთლით, რომელიც თვით განიმზადეს, არა-  
მდე ართშევენ სხვასაც. ფიქები უკავი მზად არის და დაშო-  
რებულია ერთშანერზე სწორედ იმდენად, რამდენიც საჭიროა  
ფურტკრების თავისუფალ სისიარულოდ.

ფიქის აშენებენ ფუტკრები სხვა და სხვა აზრით. საკვერ-  
ცხებში ინახვენ თაფლს, ყველილის მტვერს (კეოს). იგვე  
საკვერცხე არის იქვანი მომავალ მშრომელებისა. საკვერცხებ-  
შივე იზრდება ბატონი მუქია-ხორა მამალი და კალბატონი  
დედაფუტერი.

იმ სეში, რომელშიც ახლად დაბინავდნენ ფუტკრები  
პირველად აშენებენ ისეთ ფიქის, რომელზედაც მუშის საკვე-  
რცხებია, მიზი ისინი მითს საზოგადოებს ვმატებენ მშრომელ  
ძალის მხოლოდ როცა სკა მუშათა ძალით კარგად მოღო-  
ნიერდება, შემდეგ აშენებენ მამლის საკვერცხიან ფიქის. მამ-  
ლის საკვერცხე მუშის საკვერცხესთან შედარებით უფროსია.  
როცა მინდორში სათაფლო მცენარე უხვად ჰყვავის, მაშინ აშე-  
ნებენ განსაკუთრებით ისეთ ფიქის, რომელზედაც არის სათა-



ფლო უჯრები. ეს უჯრები თითქმის ორჯერ ულრმწევს მშენებისა და საკვერცხეზე, თან უფრო ფართეც არის.

როცა ფუტეკრებს მართვის გამოშვება უნდათ, რაკი ამი-  
სთვის საჭიროა მეორე დედაც, ამდროს ისინი ფიჭის გვერდზე  
აშენებენ სიღედე საკვერცხეს; ეს საკვერცხე ყველა საკვერ-  
ცხეზე უფროსია, მოყვანილობაც სხვანარი აქვს, როგორც  
წინათ გითხარით. ყველაფერში მომჭირნე ფუტეკრები აქ  
მომჭირნეობას თავს ანებებენ და დედოს საკვერცხეს ძრიელ  
ბერ სანთელს ანდომებენ — ერთ ასეთ საკვერცხეს ანდომებენ  
იმდენ სანთელს, რამდენიც თამამად ეყოფოდა ასორმოცდა ათ  
ჩევეულებრივ მუშის საკვერცხეს.

დიალ, როგორიადაც დედა მთელი ფუტეკრის საზოგადოე-  
ბისათვის ძეირფასია, ისე მის იღწერდას და მის აკეანს ძეირფა-  
სად ელოლივებიან. მათ კარგად ესმით, რომ მათი სიცოცხ-  
ლის შემნახველი დედა უნდა იყოს ტანადი, ახოვანი, კარგად  
იღწერდილი, რომ შემდეგში შეიძლოს ბევრის კვერცხის  
დება. ამისათვის უფრო ფართე და მკვიდრ აკვანს უმშა-  
ლებენ.

ამრიგად სანთლისაგან გაკეთებული ფიჭა შესდგება: მუ-  
შის, მამლის, დედის საკვერცხეებისაგან და სათაფლო უჯრე-  
ბისაგან.

### თ ა ფ ლ ი

თაფლის აგროვებენ ფუტეკრები ჟვავილებისაგან. თაფლი  
ჟვავილის ტყბილი წვენიდ (ნექტარი). თუ ჟვავილი ძრიელ  
ლრმა არ არის, ფუტეკრიჩასდებს შიგ თავის პაწია თავს, ენით  
ამოწუწინის ნექტარს და ჩაყლაპავს. — ერთის ჟვავილდგან  
ესტრუმრება მეორეს და ამრიგათ ჟვალასაგან მიიღებს ხარქს.  
როცა იმდენზე დაიტეირთება, რომ მეტის ზიდვა არ შეუძლია  
და მეტს ვერც შისი ჩინჩახვი დაიტევს, შეწრაფლ გამოეშუ-  
რება თავის სკისაკენ; აქ მოეგებებიან მისი შეილები, რომე-  
ლთაც უწილიდებს თავის ტვირთს ან და თვითვე ჩაასხამს

უჯრაზი. მოიცილებს თუ არა თავიდან ტვირთს, დასკვირდები დერისაკენ ეშურება, რომ ეხლო სხვა ყველილებს ედარბაზოს (გაუკეთოს ერთი).

မြေပြန်ရော်ဝါဒစွာဝင် ဒေမြေကြော်ချုပ်၊ လှုပ် ရောက်တေ စာကြော်ပြော ဖျော်ရေး ဂုဏ်သွေးပိုင် စံအုပ်စု၏ ၅—၆ မြှေ့မာ ဖျော်ပြုရေး ပြောက်တေ တော်လှုပ်။

ერთი გორევანქა თაფლისთვის 6600 მეტი ტეირობია საჭირო. მოიგონეთ ცელქებო, როცა თაფლით პირს იტკბარუნებდეთ, თუ ამდენი შრომა და ენერგია დაუხმულდებათ მშრომელ ფუტკრებს მის გასაკეთებლად.

როცა საკუვერცხეში ჩასხმენ ფუტკრები თაფლს, ის მაშინ თითქმის წყალივით თხელია, იმას მაშინვე თავს არ გადაუფისებ (არ გადაბეჭდება). ამის მიზეზით თაფლს რაც წყალი უჩევენა მოშორდება, ამოშრება და თაფლიც გასქელდება, მხოლოდ ამის უმდევ ზოგს ფიჭებს, რომლებიც შესანახად უნდათ, თავს ზევიდან გადაუფისებან, რომ კარგად შეინახოს.

უცრით, გემოვნებით და სუნით თაფლი ერთი მეორეისა-  
გან განსხვავდება. ეს იმაზედ არის დამკიდებული, თუ რის  
უავილისაგან არის შეგროვილი. ჩვენში ყველაზე მეტად ნიქებია  
ცატვის თაფლი, რომელიც თეორის ფერისაა, გემოც მშვენიერი  
აქვს და სუნიც. ხანდახან ფუტკრები შეგროვებენ მათრობელა  
თაფლს. მათრობელა თაფლი თვითონ ფუტკრებსაც ძრიელ  
სწყინს. როცა ფუტკრები ისეთ ყვავილებს ეწვევიან, რომლი-  
დანაც ასეთი თაფლი გროვდება, მაშინ ისინი ძრიელ ბრაზიან-  
დებიან და უმოწყალოდ იკბინებიან. ჩვენში მათრობელა თა-  
ფლი იცის იელმა და ხაშაუჩა. ღლამიანს მათრობელა თაფლი  
გულს ურევს, რაც უბრუებს და თითქმის იგიუებს.

ლონიერ ფუტკრის სახოგადოებას შეუძლია დღეში შეა-  
გროვოს ათ გირვანქაზე მეტი თაფლი, თუ, რასაკეირველია,  
ხათაფლო ყვავილები ბლომად იშვევდა.

ხანდახან თაფლს ფურქურები იგროვებენ მცენარეების ცვარისაგან—მცენარეებმა ფიზლებზე იცის დილ-დილობით

ტკბილი ნამი ან მანანი, რომლებსაც ფუტკრები სურათების გრაფიკა  
აგროვებენ. ასეთი თაფლი ყვავილების თაფლზე თავის ღირ-  
სებით გაცილებით დაბლა სდგას. მეტადრე ხიჭვიან ხეებზე  
შენაგროვები, (მაგალითად ნაძვისა და სოჭისა), თუ ფუტკრებშა  
ასეთი თაფლი სკამეს უჩნდებათ ფალარათი.

## პ ი რ

გრძლა თაფლისა და სანთელისა, ფუტკრები აგროვებენ  
კიდევ ყვავილის მტვერს ანუ ქეოს. როგორც ყველა ცოცხა-  
ლი არსება რითმები იკვებდა, ისე ფუტკარისაც სკირია საკვები.  
შართალია, ფუტკრები საკვებად ხმარობენ თაფლსაც, მაგრამ  
ჯერ ერთი რომ თაფლი ისე ადეილი საშოგარი არ არის და  
მეორეც მასში არ არის იმდენი საკვები ნაწილები, რამდენიც  
კეოში, ამისთვის მუშა ფუტკრები სიიმოვნებით აგროვებენ ყვა-  
ვილის მტვერს, რომელიც ბუნებაში ძლიერ ბევრია, ინახვენ  
სამუშაო საკვერცხებში და, როგორც წინათ გესაუბრეთ, სა-  
კიროების დროს სინიან წყალში და აქმევენ პატარაებს. ყვა-  
ვილის მტვერი (ანუ ქეო როგორც გურულები უძხიან) ფე-  
რათ სხვა და სხვა ნაირია, ეს არის დამოკიდებული იმაზე, თუ  
რა ფერი ყვავილისაგან არის შენაგროვები, გემოთ გემრიე-  
ლი არ არის, არამედ გემლატია და, თუ თაფლში ერთი გე-  
მოსაც და ფერსაც უკარებას.

კეოს აგროვებენ მუშა ფუტკრები თავიანთ პატარა ყბით,  
ყბიდან გადააქვთ წინა ფეხებზე, ხოლო აქედან უკანა ფეხებზე,  
რომელიც წინაზე უფრო დიდიც არის და მასთან ბანჯველია-  
ნი, ამ რიგიდ მოაქვთ სკაში. კეო მეტადრე საკიროა ფუტკარ-  
თათვის ადრე გაზაფხულზე, როცა ჯერ კადევ ბუნება სავსე-  
ბით არ არის ზამთრის შემდევ გაცოცხლებული. აი ამ დროს  
ფუტკრებს სკირია კეო ბარტებისთვის. გამოცდილი მეფუტკრე  
კეოს ნაცვლად მისცემს ფუტკრებს უბრალო უქვილს.

## დინდგილი

დინდგილი ანუ წებო ფუტკრებს სკირია კუპრუტანე-  
ბის დასაგლებად, დაუპატიუებელ სტუმრის კუპოლ. ასეთ



წებოს ფუტკრები ყველაზე მეტიდ იგროვებენ არაუკანის გასა-  
რტოებზე სწორედ იმ წესით, როგორც კეთს.

၁၃၁၂

წყალი ფუტკრებს სკირით როგორც თავიანთ სასმელად, ისე ქეთს გასახსნელად (როცა პატარაებს ფაფას უმზადებენ). წყალს ისინი საკვერცხეში არ ინახავენ, არამედ მოტანისათანავე ხმარობდნ. ძრიელ კარგი თუ მეფუტკრე საფუტკრეში წყალს დაუდგამს ფუტკრებს და შიგ კოტა მარილს ჩაიყრის, რადგან ფუტკრებს ხან და ხან ძრიელ უკვართ მლაშე წყალი, და, რაც ახლო ექნებათ, მით უკვეთსია.

ඡප. ගුලාදු






## თეთრი ქანჩა

(ზღაპარი)

ნ. ტელეშვილს

### I



ორს ჩრდილოეთში, ციც ზღვათა შორის, განმარტოებულს კუნძულზე მდებარეობდა სამეფო, როველიც თითქმის მოელის წლის განმავლობაში ციც წყვდიადსა და ბურუსში იყო გახვეული. ზამთარი იქ ხან-გრძლივი ცურდა, ზეფხული კი ხან-მოკლე. უსიკრკლებზე მხოლოდ მოკლეს ხნობით გამოჩენდებოდა მოთეთრო ხავსი და მაღლე ისევ თოვლი დაჭირიავდა.

მცენარეულობა და უვავილები ნაკლებად იყო აქა, მაგრამ ამ სამეფოს მცხოვრებთ მაინც უყვარდათ თავისი სამშობლო, თავისი პირქვები ზღვა, უყვარდათ და აფასებდნენ ყოველს სიკოცხლეს, ყოველს ბალას, და ფერ-მკრთალი უვავი-



ლები თავიანთ მინდვრებისა უფრო ახარებდა იქაუჩუნდეს, ცეკვა  
რე შევენიერი წილკოტი ახარებს სამხრეთის რომელსაც გრძე-  
ბივრებულს მცხოვრებსა. ამიტომ, როცა გაზაფხული დადგე-  
ბოდა და მზე თვისის ღლერსით გაათბობდა დედამიწას, მეცე  
დიდებულს სახალხო დღესასწაულს გამართავდა ხოლმე. ამ  
დღისათვის მზადებას ჯერ ისევ შემოდგომიდანვე შეუდგებოდა  
ყველა და მთელის ხანგრძლივის ზამთრის განშევლობაში მო-  
უთმენლად ელოდებოდნენ ამ დღესასწაულს.

ამ დღისათვის ყოველთვის ესტუმრებოდნენ მეფეს სხვა  
ქვეყნების ბატონიშვილები. ყველას უყვარდა მოხუცი მეფე,  
როგორც გონიერი და იშვიათის კეთილის გულისა, და ყვე-  
ლის უნდოდა ესწავლა მისგან, თუ როგორ უნდა ხალხისა-  
თვის ზრუნვა, რომელიც თავისუფლადა და სიამოვნებით  
სცხოვრობდა, თუმცა დიდი სიცივე და ზამთარი იცოდა ამ  
სამეფოში.

მეფეს ჰყავდა მეტად ლამაზი დსული, ბატონიშვილი  
იზოლდა. მამისავით ჰყვიანი და გულკეთილი იყო და მუდამ  
დიმხმარე სნეულთა და უბედურთა. მეფეს უწონებდა ამ ხა-  
სიათსა. მამა ეტყოდა ხოლმე—ნამდვილი ბედნიერება მხო-  
ლოდ მოწყალებაა და, თუ გულქვანი ვიქნებით, ბედი ჩვენც  
გვიმუხოთლებსო.

\* \* \*

ჩქარა გაირბინა მიიარულმა ზაფხულმა... პირქუში და უდა-  
ბური შეიქნაცივი ზღვა. ნაცრის ფერი ნისლი, თითქო ტყვიათი,  
მძიმედ მიმოიძროდა სუსხიან ქარის ტალღათა ქვეშე,—ზღვა  
აშუოთდებოდა, ალრიალდებოდა და ისევ მიწყნარდებოდა; ხან  
უშველებელს თოშებს დაახრიალებდა, ხან დაიღმუველებდა,  
ხან უეცრად დადუმდებოდა. მაგრამ შეოთავდა, თუ არა შეო-  
თავდა, მაინც გულს არ იზიდავდა: ყოველთვის ერთგვარად  
პირქუში და პირ-უბანელი იყო. მზე უკვე ვეღარ ატანდა  
ტყვიის ფერ ლრუბლებსა, სალ კლდებზედ ხელახლად იწვა

მძიმე ნისლი... ყოველივე მიმალულიყო. დგებოდა მარტინი და მოსაწყენი ზამთარი.

ბატონის ასული იზოლდა ყოველ დღე, როცა კი ფიქრ-ში წავიდოდა, მიუახლოვდებოდა სასხლის ფანჯარას, იმ მალალსა და დიდს ფანჯარას, სიცდანაც მოსჩინდა გაყინული, თოვლით დაფარული ზღვის ნაპირი, ხოლო იმის იქით თვალ-უწვდენელ ზოლივით გაგრძელებული ტყვიის ფერი ზღვა, თავის მსგავსსაც ტყვიის ფერ და თავ-პირ ჩამობნელებულ ცასთან შეერთებული.

დიდის ხნობით იდგა ხოლმე იზოლდა იმ ფანჯარასთან და წარსულს ზაფხულს იგონებდა. სადღა იყო ის ყველინი, რომელთაც თავის თმებში ჩინწნავდა ხოლმე? სადღა იყო ნორჩი მცენარე, კაშკაში, თბილი ღიმეები, მხიარული სიმ-ლერა? ყოველივე თან წარიტაცა ჩიმთარშა. ალარაფერი არ დარჩა.

— რასა ნალელობ, საყვარელო ასულო? — ჰკითხავდა მე-ფე, როცა თავისს ქალს მოწყენილსა და ჩიტაქრებულს და-ნიავდა, ფანჯარასთან მჯდომარეს. — რად გამყურებ მუდამ ამ ზღვას?

— ჩვენი ზღვა მძვინვარება, — უპასუხებდა იზოლდა. — ბევ-რი გემი შთაუნთქვეს და ვშიშობ იმითოვის, ვინც ჩვენგან დაგვიანებით მიღის. ვშიშობ ბატონიშვილ საგირისათვის.

— ნუ გეშინიან, შვილო, — ალერსით ამშვიდებდა მე-ფე. — ბატონიშვილმა საგირმა უკვე გაისწრო საფრთხეს. ახ-ლა უკვე შორს მისცურავს თვისის გემით და სამშობლოს უაბლოვდება. ოჭ, რა მშვენიერებაა, იმისი სამშობლო, რომ იკოდე!

და მეუე უამბობდა ხოლმე სამჩრეთის ზღვის მშვენიე-რებას, სეფე-წულის საგირის სამშობლოს ამბავსა, და მით განუფანტავდა ხოლმე სამშუბრო ფიქრებს თავის საყვარელ ასულსა.



— თელი დიდი ხანი აღმარ დაჩრდინილა. გუველის მუშაობა  
თარი, გაზაფხულის დღესასწაული დადგება და შესტანებული  
ლი საგირი ჩვენთან წმინდა. მოგიტანს ყოველსავე, რითაც  
მდიდარი იმისი სამშობლო: ხილსაც, თვალ-მარგალიტსაც,  
ოქრო-ვერცხლსაც, და ჩვენც ისეთს ქორწილს გადავიხდით,  
რომ ჩემის სამეფოს მცხოვრებთ თვის დღეში არ დავიწყ-  
დეთ ის დღე: — საბოძერითა და წყალობით ავაესებ ყველის—  
დიდია და პატარის.

ერთხელ, როცა ყინვიანი და მთვარიანი ღია იყო, იზოლდა ფანჯარისთან დადგა, რომ თოვლიან უდაბნოსათვის ეცქირნა. ღია ისეთი კაშაში იყო, რომ ყოველივე დღესა-ვითა სჩინდა, ხოლო ყინვა კი ისე ჭიბუბებდა, რომ ფანჯ-რის შუშებს თხელ და ნაზ სიხეებად დასტურდა, თითქმ მე-ტის შეტაც წერილი ნაზი შტოა, ვარსკელავები, ან ისრებიო. იზოლდა შესტრიფირა ამ სურათხა.

„ჩემის ქორწილის დღეს,—მხიარულად გთიფიქჩა ქალ-  
ბა,—ისცვე შევიმსხვები, როგორც ჩემი საყვარელი სამშობ-  
ლოა; ჩვეულებ ისეთს თეთრ კაბას—ვით თოვლი, წამოვის  
ხამ ისეთ ნაცრის ფერ წამოსახსამს—ვით ზღვა, ხოლო თავს  
შევიმჟობ წვრილის ისრებით—ვით ყინულის სახეები, და ეს  
ისრები ისე უნდა ბრწყინვდეს, როგორც თოვლის ფიფქის  
პაწიაწი ნაწილები ბრჭყვიალებს ხოლმე მთვარის შექმნედ.“

共 20

იზოლაციაში მეორე დღესვე ბრძანა მოქმედებინათ საქორ-წილო სამოსელი, სწორედ ისეთი, როგორიც გულში ვაფი-ქრა. სასახლის შეკრავშა ქალმა თავს იდა თოვლივით თეთ-რის კაბის შეკერეა; ხელოსანში კაცში ზღვის მსგავს ტყევის ფერ წამოსასხმის მომზადება იყისრა; მიგრიმ ის კი არავინ ცურდა, როგორ გაეკეთებინათ ისეთი მორთულობა თავისა, რომელიც ყინულის ისრებს, ანუ ფიფქ, ჰგავნებოდა.

დამგზავნებ შიკრიკი მთელს სამცურში, ჯილდო და საბოძველი დიდი აღმართვები იმას, კინ კ ასეთს თვემორითულო-

ଦେବ ମନୋଦ୍ୱାରକୁହାତୁ, ଦେବିର ଅର୍ପଣା ଏହି ଗାମିନିଙ୍କ ଦେବି ମୁଖ୍ୟମିତ୍ରଙ୍କାଳୀନ  
ବ୍ୟେକାଙ୍କଣ ଶ୍ରେଷ୍ଠମୁଖୀ ଏହି ତାତ୍ପର୍ଯ୍ୟାନିକାଙ୍କାଳୀନ ମନୋଦ୍ୱାରକୁହାତୁ ।

ბოლოს გამოჩენდა ქრისტი მოხუცი, რომელსაც დიდხანს ემგზავრნა ქვეყნითი ქვეყნად. მოხუცმა სთქვა, მე გავაკეთებ ამ თავმორთულობას, მშოლოდ დიდი დრო მოუწევთ.

— შორეულს სამხრეთში, ერთის დიდის მდინარის პი-  
რად,— იმბობდა მოხუცი, — მრავლად არიან თეთრი ყინწები.  
დიდძალი ყანჩა იმ მხარეში, იმტომ რომ არავინ არა ჰელივს,  
რაღან მათი ხორცი ხავმელად ირ ვარგა. სცხოვრობდნ ყინ-  
წები თავისუფლად. ყოველს გაზაფხულზე ყინწებს თავზე იმო-  
დით ხოლმე თეთრი ქოჩირი, მაღალი და მედიდურად გადა-  
შლილი, ნაზის, შშვენიერის ბეწვებით, რომელიც ისე წმინ-  
და, როგორც ობობას ქსელი. იქ გაზაფხული აღზე იწყება.  
უნდა დაეკმუროთ; ახლავე რომ წავიდე, სწორედ გაზაფხულს  
მიუსწოდ...

— მაშ, წილი!... — წევონდება იზოლდამ, რომელიც სიხარულით გამრჩეულ ვებულის თვალებით შეს ქირქვდა მოხუკა.

— ეგ ქოჩირი რომ კოშკოთ და იმის ბეჭვებზე წერილ-წერილი ღლმასები დავისხათ, სწორედ ის გამოვა, რასაც ბატო-შვილი ოცნებობს. ჩვენში გაზიაფხული ჯერ კიდევ ჩქარი არ დადგება. მანამდე შემიძლიან დავბრუნდე კიდევ, სწორედ შენის ქორწილის ლისათვის.

— յանցո, Ցօքրած և Եռորած շնչա օթոցը յանիս յոհուրդո՞ւ? — Ելութեա Սովետականութեա Տեղ զանազան բաժանման օթոցը ամ

მოხუცმა დაქართვა თავი იზოლდას ყურისაკენ და სის-  
ტუმლოდ უჩიურისტულა:

— აშისათვეს საჭიროა მხოლოდ ერთი ყანჩა... მოკლა.

— მამული?

ბატონის ასულმა ხელვბი ძირს დაუშეა და მწუხარედ  
თავი გაიქნია.

— არა, — წყნარიდ მოუფო ქოლბა, — მაგ გზით მოპოვებული მოჩიტულობა არ მინდა.

ମୋରୁପିଲା ତାଙ୍କ ଦେଖୁଗଲା ଲା ହେଉଗଲା.

მთელი ღამე არა სძინებია იზოლდას. ქალმა უკუნდა როგორ შეწუხდებოდა იმისი მამა და, თითონ კავშირისა და სათანხმებულიყო, მამა არ მისცემდა ნებას, ასეთის მორთულობით შეემჯო თვით იმის ქალსა, მაგრამ არ ლამაზი და მოელვარე იქნება ის მორთულობა!..

— „თეთრი ყანჩები...“ — ფიქრობდა იზოლდა და მოხუცის სიტყვებს იგონებდა. — იმათო ხორცი საჭმელად არ ვარგა... არავინ არა ჰკლავს...“

„მაგრამ ეს ქოჩორი რომ ვიშოვოთ და იმის ბეწვებზე წვრილ-წვრილი ალმასები დავისხათ, სწორედ ის ვამოვა, რასაც ოცნებობო...“

და ქალი თვეოლწინ ეხატებოდა მომავილი ვაზაფხული, ბატონიშვილი საგირი, თოვლივით თეთრი კაბა ნაცრის ფერ წამოსასხამით და ყინულთა ბეწვების ციმციმ-ჯაში...“

— მხოლოდ ერთი... მხოლოდ ერთი ყანჩა მოვკლაო... — განაგრძობდა ფიქრს იზოლდა.

და ცოტ-ცოტობით, ერთის ფრინველის მოკვეთა, თუნდაც უბრალო ერინიანობის საფუძველი, ისე საშინელ საჭმელ იღია ეწყენებოდა იზოლდას, როგორც პირველს გაგონებაზედ ეწყენა: ფრინველი ხმა მოკვდება ოდესმე და ცოტა უფრო იღრე მოკვდება თუ ცოტა უფრო გვიან, — განა სულ ერთი არ არის?.. სამაგისტროდ, რა მშევნიერება იქნება ჩემი საქორ-წილო მორთულობა! როგორ კმაყოფილი იქნება ბატონიშვილი საგირი და რა მშევნიერება იქნება ამ მორთულობაში თვითონ იზოლდა!..

ასე ფიქრობდა ბატონის ასული და უფრო და უფრო იტაცებდა ამ მორთულობის ფიქრი. დიდხანს წევლობდა ამ ფიქრით და... გადასწყვიტა და სათანხმებულიყო ყანჩის მოკვლასა. დილისთვის მოიწვია მოხუცი და უბრაბანა, გზას ვაჟ-დექო. მხოლოდ აუკრძალა, მეფეს არა უწერა-რომ.

\* \* \*

ვაზაფხული უკვე იხლოვდებოდა.

მთელი სამეფო ემზადებოდა დღესასწაულისათვის, რომელიც ამ გზობისად არა ჩემულებრივი რამ უნდა ყოფილი-



ყო. მეფეებ თავის საპარტადლო ასულის პატივსაცემულები მოწყვალება გაიღო და კველა ხარობდა. მარტო ერთმანეთში მის ჩაფიქრებული და მოწყვენილი.

დიდი ხანი იყო, რაც ნანობდა და სწუხდა, რომ წუ-  
თიერს პატივმოყვარეობას ამჟადა. მაგრამ ახლა კვლავაფერს  
გააწყობდა. ამიტომ სცდილობდა ეგ ფიქრი მოქმორებინა თა-  
ვიდან.

გაზაფხულის ბაღისი ამწვანდა, ზღვა მხიარულად ახმა-  
ურდა, ბატონიშვილები უკვე მოდიოდნენ,—ხოლო მოხუცი  
ჯერ არისდა სჩანდა. იზოლდას კიდეც უხაროდა, დაცყურებდა  
თავისს საქორწილო ტანისამოსს და ფიქრობდა, რითი შეემკა  
თავი განზრახულ მორთულობის მაგიერად.

ბრწყინვალე ამაღითა და ძეირფასის საჩუქრებით მო-  
ვდა სამეფო საფირო დანიშნეს ქორწილისა და საერთო დღე-  
სასწაულის დღე და ყოველივე მზად იყო ამ დიდებულის  
დღისათვის.

წინა დღის საღამოს შორის მხრიდან მოსული გემი მო-  
დგა ნაპირს, ხოლო რამდენისამე ხნის შემდეგ სასახლეში გა-  
მოცხადდა მოხუცი. თავი დაუკრა ბატონის ასულსა და ხმა-  
მოსულებლივ გადასცა ოქროთი მოვარაყებული ყუთი. იზო-  
ლდამ აწადა თავი ამ ყუთსა და ოლტაცებით გაოცდა, წამო-  
იკიცა.

ყუთში მუქ ხავერდზე ჩართის მსგავსად გადაშლილი ით  
მეტის მეტად წვრილი თეთრი ნაზი ბუმბული, და ბუმბულებ შეა-  
ბრწყინავდნენ და კაშა შებდნენ თვალთათვის ოდნივ შესამნევი  
აღმასები. ამაზე უკეთესი მსგავსება შუშაზედ გაყინულ ბჭყვრია-  
ლი სახეებრსა შეუძლებელი იყო. და ის ის იყო სწორედ ის  
მორთულობა, რის წარმოდგენაც მხოლოდ ოცნებით შეეძლო  
დღემდე იზრილდას.

— იჯ, რა მშვენიერება! — წამოიძახა გაოცებულში ქა-  
ლმა. — რა საკურველი რამაც! რა ლაშაზია!

შეგრამ უცბიდ გაზუმდა და ერთის წამით თვალებზე ხე-  
ლები მიიფარა.



— შენ... მოჰკვალი? — აღშფოთებით წარმოსტექვი, ჭურჭელი.

— დიალ, ბატონის ასული, — დამშეიცვებით უპისტუნაშემავა  
ხუცა. — მოვკვალი, რომ ეს ქოჩორი მომექრა. მოვკერი და  
წიგიღე ერთს დიდს ქალაქში, საცა თქროსა და ოვალმარგა-  
ლიტისაგან ასეთს შესანიშნავს რამდეს აკეთებენ.

ცველის აკერძებდა ამ ბუმბულის სილამაზე. ბევრი ყმა-  
წვილი ქალი და ბევრი ვაჭარი და სხვა და სხვა ჯურის ხალხი  
მოდიოდა ჩემთან ამის სანახევიდ. მოხველნენ შიმეცილნა, მიგ-  
რამ არაფრის გულისათვის არ დავთანხმდი. ეს ქოჩორი ერთს  
სახელგანთქმულსა და მოელს ქვეყნიერებაზე საუკეთესო თხ-  
ტარს მივეცი გასაკეთებლად და შენი სურვილი უამბე. და აი,  
ჰედავ რა გააკეთა! თავ-მოწონებით ანიშნა მოხუცა მოელვა-  
რე თავმორთულობა.

— გმაცლობა! — უპისუხა იზოლდამ და ყუთს თავი დაპუ-  
რა. ქალს ხელები უსრათოდა.

\* \* \*

მეორე დღეს სამეჯლისო ადგილის ურიცხვი ხალხი შე-  
იკრიბა, რათა მეფე-დედოფლისათვის მიელოცნათ. ცველა აღ-  
ტაცებული და მხიარული იყო. ცველა ქორფა მცენარის შტო-  
ებითა და ყავილებით მოდიოდა, ყოველის მხრით სიმღერა და  
ლალადი ისმოდა გულ-კეთილს მეფის საღიღებლად.

ადლეგრძელოს ჩენი კეთილი მეფე! ადლეგრძელოს ბა-  
ტონის ასული იზოლდა და ბატონიშვილი საგრი!

ამ ქვეყნის ჩვეულებისამებრ, მეფე თვითონ აძლევდა სა-  
სიძოს თავის ასულის ხელს ზევლის ხალხის თანადასწრებით  
და ხალხის ცნობის მოყვირეობით და მოუთმენლობით ელო-  
დებოდა ამ წუთხა.

როდესაც დედოფლი გამოჩნდა, მთელი ხალხი გაშტერ-  
და აღტაცებითა, იმდენად მშვენიერი იყო იზოლდა! თავ-  
ლიყით თეთრს კაბაში გამოწყობილი, ნიცრის ფერ გრძელის  
წამოსახამითა და დიდებულის თავ-მორთულობით შემკული,  
მშვენიერი და ნორჩი იყო ისე, ვით ირგვლივ გამეფებული  
გაზიარებული.



